

შპს „მეტეხი პლასტიკის“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისთვის

**შპს „მეტეხი პლასტიკი“
ფინანსური ანგარიშგება**

2019 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისთვის

სარჩევი

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	6
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	7
1. კორპორატიული ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	121
6. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	11
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11
8. ძირითადი საშუალებები	12
9. მარაგები.....	14
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
11. ფული და ფულის ექვივალენტები	14
12. სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები	14
13. 2018 წელს წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი ცვლილებების განმარტებები.....	15

შპს „მეტეხი პლასტიკი“
მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019 (არააუდიტირებული)	2018 (არააუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	357,827	271,657
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(290,116)	(210,189)
საერთო მოგება		67,711	61,468
რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯები		(1,931)	(2,945)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(79,766)	(80,239)
საოპერაციო ზარალი		(13,986)	(21,706)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-	-
საპროცენტო შემოსავალი		7,572	6,372
საპროცენტო ხარჯი		-	-
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		658	(7,354)
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე		5,754	22,688
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		5,754	22,688

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს


 კანტორკონსტრუქციული
 დირექტორი

შპს „მეტეხი პლასტიკი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019 (არააუდიტირებული)	2018 (არააუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	357,827	271,657
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(290,116)	(210,189)
საერთო მოგება		67,711	61,468
რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯები		(1,931)	(2,945)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(79,766)	(80,239)
საოპერაციო ზარალი		(13,986)	(21,706)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-	-
საპროცენტო შემოსავალი		7,572	6,372
საპროცენტო ხარჯი		-	-
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		658	(7,354)
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე		5,754	22,688
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		5,754	22,688

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს

კახაბერ კახნიაშვილი
დირექტორი

შპს „მეტეხი პლასტიკი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2018 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	683,460	739,988
არამატერიალური აქტივები		540	667
გაცემული სესხები		47,000	97,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		731,000	837,655
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	9	295,796	286,318
მისაღები პროცენტები		24,885	11,243
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	65,240	54,868
ფული და ფულის ექვივალენტები	11	73,218	54,614
სულ მიმდინარე აქტივები		459,139	407,043
სულ აქტივები		1,190,139	1,244,698
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		724,116	774,116
გაუნაწილებელი მოგება		438,473	444,227
სულკაპიტალი		1,162,589	1,218,343
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები	12	23,277	22,993
საგადასახადო ვალდებულება		4,273	3,362
გადასახდელი იჯარა		-	-
გადასახდელი პროცენტები		-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		27,550	26,355
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,190,139	1,244,698

შპს „მეტეხი პლასტიკი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ბალანსი 1 იანვარი 2018	774,116	466,915	1,241,031
პერიოდის სრული ზარალი	-	(22,688)	(22,688)
გამოცხადებული			
დივიდენდები	-	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	774,116	444,227	1,218,343
პერიოდის სრული ზარალი	-	(5,754)	(5,754)
გამოცხადებული			
დივიდენდები	-	-	-
კაპიტალის შემცირება	(50000)	-	(50000)
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	724,116	438,473	1,162,589

შპს „მეტეხი პლასტიკი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

მეტეხი პლასტიკი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და შპს „ბჰნ“-ის / ს.ნ. 204506472 / შვილობილ კომპანიას წარმოადგენს. იგი დაარსდა 2011 წლის 18 იანვარს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 432539586

ძირითადი საქმიანობა: შპს „მეტეხი პლასტიკი“-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენის მილების გაზისთვის და წყლისთვის და პოლიპროპილენის მილების ცივი და ცხელი წყლისთვის წარმოება. კომპანიაში დასაქმებულია 11 (თერთმეტი) თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი: კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, კასპის რაიონი, სოფელი მეტეხი.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს შპს „ბჰნ“ ფლობს.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება: აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) მოთხოვნების გათვალისწინებით, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობები თან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა: ლარი არის შპს “მეტეხი პლასტიკის” მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტითვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება:** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები:** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა:** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ნაგებობები	15-20
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე ინვენტარი	3-10
მანქანა-დანადგარები	10-20
შენობები	40-50

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება:** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია:** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ. ,როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები: კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები: სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია სავაჭრო ვალები. სავაჭრო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები: სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები: სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები: 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ

იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები: კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი: გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი: ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესაბამება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლების აღიარება: შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი: სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება: მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე / გრძელვადიანის მიხედვით: კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე / გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელი ამისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არარსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთმოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება:** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა:** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5 შემოსავალი რეალიზაციიდან

	2019	2018
შემოსავალი პოლიპროპილენის მიღების რეალიზაციიდან	6,549	84,766
შემოსავალი პოლიეთილენის მიღების რეალიზაციიდან	348,794	184,865
სხვა შემოსავალი	2,484	2,026
ჯამი	357,827	271,657

6 რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

	2019	2018
პოლიპროპილენის მიღების თვითღირებულება	(5,577)	(71,248)
პოლიეთილენის მიღების თვითღირებულება	(280,031)	(136,246)
სხვა	(4,508)	(2,695)
ჯამი	(290,116)	(210,189)

7 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	(7,175)	(10,425)
ცვეთა და ამორტიზაცია	(56,656)	(56,264)
საიჯარო ქირა	(5,085)	(5,085)
რემონტის ხარჯები	(781)	-
საყოფაცხოვრებო ხარჯები	(62)	-
ბანკის საკომისო	(528)	-
კომუნიკაციის ხარჯები	-	-
კომპიუტერის და საკანცელარიო ხარჯები	(619)	-
საგადასახადო ხარჯი	(8,064)	(8,458)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(796)	3
ჯამი	(79,766)	(80,229)

8 ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	არამატ. აქტივი	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა/ინვენტარი	ჯამი
-	-	-	-	-	-	-
თვითღირებულება	-	-	-	-	-	-
1 იანვარი 2018	33,030	1,271	200,579	764,448	4,000	1,003,328
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	-	5,887	-	5,887
31 დეკემბერი 2018	33,030	1,271	200,579	770,335	4,000	1,009,215
ცვეთა	ცვეთა	-	-	-	-	-
1 იანვარი 2018	-	(477)	(11,051)	(199,244)	(1,524)	(212,296)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(127)	(4,773)	(50,964)	(400)	(56,264)
31 დეკემბერი 2018	-	(604)	(15,824)	(250,208)	(1,924)	(268,560)
ნეტო საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-	-
1 იანვარი 2018	33,030	794	189,528	565,204	2,476	791,032
31 დეკემბერი 2018	33,030	667	184,755	520,127	2,076	740,655

8 ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	არამატ. აქტივი	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის ალჭურვილობა/ინვენტარი	ჯამი
-	-	-	-	-	-	-
თვითღირებულება	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	33,030	1,271	200,579	770,335	4,000	1,009,215
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	33,030	1,271	200,579	770,335	4,000	1,009,215
-	-	-	-	-	-	-
ცვეთა	ცვეთა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	-	(604)	(15,824)	(250,208)	(1,924)	(268,559)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(127)	(4,773)	(51,356)	(400)	(56,656)
31 დეკემბერი 2019	-	(731)	(20,597)	(301,563)	(2,324)	(325,215)
-	-	-	-	-	-	-
ნეტო საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	33,030	667	184,755	520,128	2,076	740,655
31 დეკემბერი 2019	33,030	540	179,982	468,772	1,676	684,000

9 მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნედლეული და მასალები	193,997	206,020
მზა პროდუქცია	101,135	79,630
საქონელი	664	668
ჯამი	295,796	286,318

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	58,278	47,919
გადახდილი ავანსები	6,961	6,949
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	65,240	54,868

11 ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული ბანკში	71,530	53,239
ფული სალაროში	1,688	1,375
ჯამი	73,218	54,614

12 სავაჭრო ვალდებულებები, მიღებული ავანსები და გადასადხდელი ხელფასები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	22,921	22,582
მიღებული ავანსები	114	169
საგადასახადო ვალდებულება	4,273	3,362
გადასახდელი ხელფასები	242	242
ჯამი	27,550	26,355

13. 2018 წლის წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი ცვლილებების განმარტებები

2018 წლის ანგარიშგების ციფრულ ფორმებში სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსების თანხა გაერთიანებული იყო. 2019 წლის ანგარიშგებაში მოხდა მათი გაყოფა. 2018 წლის მონაცემებში სავაჭრო მოთხოვნებს გამოაკლდა 6949 ლარი და დაემატა გადახდილ ავანსებს, ხოლო 2017 წლის მონაცემებში 6799 ლარი. ამასთან ერთად 2017 წლის მონაცემებში გადახდილ ავანსებს დაემატა საგადასახადო აქტივი 17963 ლარი.

2018 წლის ანგარიშგების ციფრულ ფორმებში მზა პროდუქციის და სხვა მარაგების თანხა არის გაერთიანებული. 2019 წლის ანგარიშგებაში მოხდა მათი გაყოფა 2018 წლის მონაცემებში მზა პროდუქციას გამოაკლდა 206689 ლარი და დაემატა სხვა მარაგებს, ხოლო 2017 წლის მონაცემებს 152389 ლარი.

ასევე სხვა მიმდინარე აქტივებში გაერთიანებული იყო გრძელვადიანი სესხის და საგადასახადო აქტივის თანხები. 2018 წლის მონაცემებში მიმდინარე აქტივებს გამოაკლდა 97000 ლარი რომელიც დაემატა გრძელვადიან აქტივებს და მიმდინარე აქტივის თანხა შემცირდა 3126 ლარით, რომელიც გამოწვეული იყო საგადასახადო ორგანოში დეკლარაციების დაზუსტებით მიღებული ცვლილებების გამო. ასევე 2017 წლის მონაცემებში მიმდინარე აქტივის მონაცემებიდან გრძელვადიან აქტივს დაემატა 20000 ლარი.

2018 წლის ანგარიშგებაში ციფრულ ფორმებში 2018 და 2017 წლის მონაცემებში არამატერიალური აქტივის ცვეთის თანხა გამოკლებული იყო ძირითადი საშუალებების ღირებულებას. მოხდა მათი გასწორება 2018 წლის მონაცემებში არამატერიალური აქტივის ღირებულება შემცირდა, ხოლო ძირითადი საშუალების ღირებულება გაიზარდა 604 ლარით, ხოლო 2017 წლის მონაცემებში 477 ლარით.

2018 წლის ანგარიშგებაში ციფრულ ფორმებში ტექნიკურად შეცდომით იყო შეტანილი სავაჭრო ვალდებულების და სხვა ვალდებულების მონაცემები გამომუშავებული შემოსავლის ანგარიშზე. 2018 წლის მონაცემებში გამომუშავებული შემოსავლის მონაცემებიდან 22750 ლარი გადადავიდა სავაჭრო ვალდებულებების ანგარიშზე ხოლო 242 ლარი სხვა ვალდებულებების ანგარიშზე, ხოლო 2017 წლის მონაცემებში 24873 ლარი სავაჭრო ვალდებულებების და 292 ლარი სხვა ვალდებულებების ანგარიშზე.

2018 წლის ანგარიშგების ციფრულ ფორმებში 2018 წლის გაუნაწილებელი მოგება / ზარალის ანგარიში შემცირდა 2697 ლარით ხოლო 2017 წლის გაიზარდა 13 ლარით, რაც გამოწვეულია საგადასახადო დეკლარაციების დაზუსტებით მიღებული მონაცემების გამო.